

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18 818 507	24 296 482	25 883 500	25 883 500
გადასახადები	12 902 820	15 382 649	16 690 800	16 690 800
გრანტები	5 287 900	8 330 251	8 460 300	8 460 300
სხვა შემოსავლები	627 787	583 582	732 400	732 400
ხარჯები	11 691 968	15 502 736	17 699 310	17 699 310
შრომის ანაზღაურება	4 206 778	5 950 429	6 830 406	6 830 406
საქონელი და მომსახურება	2 632 305	3 388 352	4 110 771	4 110 771
პროცენტი	13 273	9 788	18 400	18 400
სუბსიდიები	2 278 495	2 773 961	3 212 945	3 212 945
გრანტები	3 480	6 350	2 100	2 100
სოციალური უზრუნველყოფა	1 220 706	1 491 465	1 628 203	1 628 203
სხვა ხარჯები	1 336 931	1 882 390	1 896 485	1 896 485
საოპერაციო სალდო	7 126 539	8 793 746	8 184 190	8 184 190
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7 153 027	9 250 797	9 052 690	9 052 690
ზრდა	7 171 870	9 260 222	9 082 690	9 082 690
კლება	18 843	9 425	30 000	30 000
მთლიანი სალდო	-26 488	-457 051	-868 500	-868 500
ფინანსური აქტივების ცვლილება	-53 278	-483 841	-896 500	-896 500
ზრდა	-53 278	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	-53 278	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0	0
კლება	0	483 841	896 500	896 500
ვალუტა და დეპოზიტები	0	483 841	896 500	896 500
ვალდებულებების ცვლილება	-26 790	-26 790	-28 000	-28 000
ზრდა	0	0	0	0
კლება	26 790	26 790	28 000	28 000
საშინაო	26 790	26 790	28 000	28 000
ბალანსი	0	0	0	0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	18 837 350	24 305 907	25 913 500	25 913 500
შემოსავლები	18 818 507	24 296 482	25 883 500	25 883 500
არაფინანსური აქტივების კლება	18 843	9 425	30 000	30 000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	
ვალდებულებების ზრდა	0	0	0	
გადასახდელები	18 890 628	24 789 747	26 810 000	26 810 000
ხარჯები	11 691 968	15 502 736	17 699 310	17 699 310
არაფინანსური აქტივების ზრდა	7 171 870	9 260 222	9 082 690	9 082 690
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	26 790	26 790	28 000	28 000
ნაშთის ცვლილება	-53 278	-483 841	-896 500	-896 500

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 25 883 500 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18 818 507	24 296 482	25 883 500	25 883 500
გადასახდელები	12 902 820	15 382 649	16 690 800	16 690 800
გრანტები	5 287 900	8 330 251	8 460 300	8 460 300
სხვა შემოსავლები	627 787	583 582	732 400	732 400

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 25 883 500 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
შემოსავალი	18 818 507	24 296 482	25 883 500	25 883 500
გადასახადები	12 902 820	15 382 649	16 690 800	16 690 800
გადასახადები ქონებაზე	441 624	403 035	400 000	400 000
გადასახადები უძრავ ქონებაზე	441 624	403 035	400 000	400 000
ქონების გადასახადი	441 624	403 035	400 000	400 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	361 406	329 309	367 000	367 000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 891	4 844	3 000	3 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	5 580	7 339	0	0
ფიზიკური პირებიდან	4 473	6 280	0	
იურიდიული პირებიდან	1 107	1 059	0	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	70 747	61 543	30 000	30 000
ფიზიკური პირებიდან	2 806	3 933	2 000	2 000
იურიდიული პირებიდან	67 941	57 610	28 000	28 000
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	12 461 196	14 979 614	16 290 800	16 290 800
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	12 461 196	14 979 614	16 290 800	16 290 800
დამატებული ღირებულების გადასახადი	12 461 196	14 979 614	16 290 800	16 290 800
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაჩეული მომსახურებიდან	3 805 333	5 615 192	4 514 300	4 514 300
იმპორტირებული პროდუქციიდან	8 655 863	9 364 422	11 776 500	11 776 500

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები(ტრანსფერები)

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8 460 300 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
გრანტები	5 287 900	8 330 251	8 460 300	8 460 300
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან	1 200,00	0,00	0,00	0,00
კაპიტალური	1 200,00		0,00	
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	5 286 700	8 330 251	8 460 300	8 460 300
მიმდინარე	1 108 255	1 575 337	1 300 000	1 300 000
<i>გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან</i>	0,00	0,00	200 000,00	200 000
<i>გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან</i>	0,00	0,00	200 000,00	200 000
<i>სხვა</i>			200 000,00	200 000
<i>გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან</i>	1 108 255	1 575 337	1 100 000	1 100 000
<i>გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან</i>	1 108 255	1 575 337	1 100 000	1 100 000
<i>სპეციალური ტრანსფერი</i>	1 108 255	1 575 337	1 100 000	1 100 000
კაპიტალური	4 178 445	6 754 914	7 160 300	7 160 300
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	0,00	0,00	10 300,00	10 300,00
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	0,00	0,00	10 300,00	10 300,00
კაპიტალური ტრანსფერი			10 300,00	10 300,00
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	4 178 445	6 754 914	7 150 000	7 150 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	4 178 445	6 754 914	7 150 000	7 150 000
კაპიტალური ტრანსფერი	4 178 445	6 754 914	7 150 000	7 150 000

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 732 400 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავალი	627 787,00	583 582	732 400	732 400
შემოსავალი საკუთრებიდან	263 489,01	213 567	374 400	374 400
პროცენტი	176 225	129 341	212 400	212 400
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	176 225	129 341	212 400	212 400
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	176 225	129 341	212 400	212 400
რენტა	87 264,11	84 226	162 000	162 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	84 051	82 761	154 000	154 000
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	10 000	15 000	12 000	12 000
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	50 000	41 408	74 000	74 000
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	15 000	120	28 000	28 000
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე		370	0	
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	9 051	25 863	40 000	40 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3 213	1 465	8 000	8 000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	103 009,1	43 971	92 000	92 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	84 745	27 810	67 000	67 000
სანებართვო მოსაკრებლები	63 326	4 797	35 000	35 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	63 326	4 797	35 000	35 000

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	21 385	23 013	32 000	32 000
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	34,60		0,00	
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	18 264	16 161	25 000	25 000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	18 264	16 161	25 000	25 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	18 264	16 161	25 000	25 000
სანქციები, ჯარიმები და საურავები	30 756	41 619	66 000	66 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0	32 369	50 000	50 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში		4 205	13 000	13 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში		2 410	6 000	6 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	0	19 195	31 000	31 000
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო		18 760	26 000	26 000
უბილეთო მგზავრობის გამო		60,00	0,00	
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში		375	5 000	5 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო		6 420	0	
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო		140	0	

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო		9 000	9 000	9 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	30 756,21	250,00	7 000,00	7 000,00
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	230 533	284 426	200 000	200 000
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	230 533	284 426	200 000	200 000
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	230 533	284 426	200 000	200 000
სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი		1 606,50	0,00	
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე		4 972,86	0,00	
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	230 533	277 847	200 000	200 000

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 17 697 210 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	11 688 488	15 496 386	17 697 210	17 697 210
შრომის ანაზღაურება	4 206 778	5 950 429	6 830 406	6 830 406
საქონელი და მომსახურება	2 632 305	3 388 352	4 110 771	4 110 771
პროცენტი	13 273	9 788	18 400	18 400
სუბსიდიები	2 278 495	2 773 961	3 212 945	3 212 945
სოციალური უზრუნველყოფა	1 220 706	1 491 465	1 628 203	1 628 203
სხვა ხარჯები	1 336 931	1 882 390	1 896 485	1 896 485

მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9 112 690 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 082 690 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 231 061	290 700	1 173 500	1 173 500
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	72 283	114 933	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4 251 506	7 474 498	5 791 090	5 791 090
დასუფთავება და გარემოს დაცვა	29 700	172 252	258 400	258 400
განათლება	117 875	138 287	89 100	89 100
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 229 895	963 852	1 462 600	1 462 600
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	311 833	220 633	308 000	308 000
სულ ჯამი	7 244 153	9 375 154	9 082 690	9 082 690

ბ) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 30 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	18 843	9 425	30 000	30 000
ძირითადი აქტივები	15 655	6 125	10 000	10 000
არაწარმოებული აქტივები	3 188	3 300	20 000	20 000
მიწა	3 188	3 300	20 000	20 000

**მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის
ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

**განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 26 782 000
ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, მათ შორის:**

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	მათ შორის
					საკუთარი შემოსავლები
7,1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 381 297	4 283 628	6 276 020	6 276 020
7,11	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა,საგარეო ურთიერთობები	3 207 776	4 155 041	5 043 620	5 043 620
7,111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 207 776	4 155 041	4 868 620	4 868 620
7,112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	175 000	175 000
7,16	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	13 273	9 788	18 400	18 400
7,18	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1 160 248	118 799	1 214 000	1 214 000
7,2	თავდაცვა	0	114 933	0	0
7,21	სამოქალაქო თავდაცვა	0	114 933	0	0
7,4	ეკონომიკური საქმიანობა	1 927 081	4 151 897	3 353 150	3 353 150
7,42	სოფლის მეურნეობა,სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	11 760	7 899	13 000	13 000
7,421	სოფლის მეურნეობა	11 760	7 899	13 000	13 000
7,45	ტრანსპორტი	1 588 582	3 772 397	2 816 150	2 816 150
7,451	საავტომობილო ტრანსპორტი	1 588 582	3 772 397	2 816 150	2 816 150
7,47	ეკონომიკის სხვა დარგები	326 739	371 601	524 000	524 000
7,473	ტურიზმი	326 739	371 601	524 000	524 000
7,5	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 084 575	1 472 054	1 832 400	1 832 400
7,56	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 084 575	1 472 054	1 832 400	1 832 400
7,6	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	3 574 201	4 846 782	4 009 350	4 009 350
7,62	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 856 421	2 432 398	2 005 100	2 005 100
7,63	წყალმომარაგება	932 679	1 312 678	1 647 300	1 647 300
7,66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	785 101	1 101 705	356 950	356 950
7,7	ჯანმრთელობის დაცვა	1 041 566	863 584	1 003 280	1 003 280
7,76	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 041 566	863 584	1 003 280	1 003 280
7,8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 946 514	2 956 851	3 950 100	3 950 100
7,81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 015 439	711 046	1 720 000	1 720 000
7,82	მომსახურება კულტურის სფეროში	1 931 075	2 245 805	2 230 100	2 230 100
7,9	განათლება	2 687 282	3 820 672	4 080 200	4 080 200

7,91	სკოლამდელი აღზრდა	2 136 747	2 860 216	3 063 600	3 063 600
7,98	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	550 535	960 456	1 016 600	1 016 600
7 10	სოციალური დაცვა	1 221 323	2 072 639	2 277 500	2 277 500
7 107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	30 473	30 969	32 000	32 000
7 109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 190 850	2 041 670	2 245 500	2 245 500
	სულ ბიუჯეტის გადასახდელები	18 863 838	24 583 040	26 782 000	26 782 000

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის მთლიანი სალდო -896 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 28 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 175 000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

2024 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. პრიორიტეტი: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობით სფეროში განხორციელებული პროექტები, მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელი რგოლების განვითარებისთვის და თანამედროვე მართვის სისტემის საფუძვლების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში
01 02 04 01	სასახლო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა
01 02 07	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების აძლლება
01 02 08	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა

პრიორიტეტი:

2. ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

- პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01). პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებები) მოწყობას.

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები :

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია
02 01 02	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)

02 01 03	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება
02 01 04	ბურღვა აფეთქება
02 01 05	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა
02 01 06	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო
02 01 07	ხელვაჩაური-ქედის საზღვართან საზღვრის მიმანიშნებელი აზრის რეაბილიტაცია

- პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02). მუნიციპალიტეტის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებულია და აშენებულია წყლის სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის წყალმომარაგება.

- ქვეპროგრამა: წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01). ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული წყლის სისტემაზე დაზიანებული ქსელის ამოცვლას, სარეზერვო გამანაწილებელი აუზების აშენებას, დამატებით მომხმარებლების მიერთებას და ოჯახებისათვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, მილების შექმნას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 01 01	სოფელ პ/მაისის ცენტრის მოსახლეობის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 02	სოფელ წონიარისის სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა
02 02 01 03	სოფელ პ/მაისის ბაგა-ბადის წყალმომარაგების სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა

02 02 01 04	სოფელ მენწმანში სათავე კვანძის, მაგისტრალური მილსადენისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 05	სოფელ სირაბიძეებში წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზის მოწყობა
02 02 01 06	სოფელ დოლოგანში წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზის მოწყობა

- **ქვეპროგრამა: შპს ქედის წყალკანალი (პროგრამული კოდი 02 02 02).** მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა.

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა, ქლორირება და ფილტრაცია. გაუმჯობესებულია წყალმომარაგების მომსახურება, უზრუნველყოფილია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება და მოვლილია კანალიზაციო და სანიაღვრე არხები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

- **პროგრამა: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03).** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: შექმნილია ახალი საბინაო ფონდი, გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო;

რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

- **ქვეპროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 03 01).** პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ასევე ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია; შექმნილია ახალი საბინაო ფონდი, გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო; რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
02 03 01 02	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა
02 03 01 03	სოციალური სახლის მშენებლობა(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა)

- **პროგრამა: ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; (პროგრამული კოდი 02 03 02).** გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე ახალი ტერიტორიების ათვისება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: სტიქიისგან მოსახლეობის, მუნიციპალური და კერძო საკუთრების დაცვა და ახალი ტერიტორიების ათვისება; სტიქიისგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალური და კერძო საკუთრება და ათვისებული ახალი ტერიტორიები

- **პროგრამა: პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 03).** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და

სკვერების მოვლა–პატრონობა, კერძოდ, ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა
02 03 03 01	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ახოში სკვერის მოწყობა
02 03 03 04	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა
02 03 03 05	დაბა ქედაში ლითონის კონსტრუქციის მოწყობა ეროვნული დროშისთვის

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; მოწყობილი და გაფართოებული სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის, მოვლილი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები და პარკები.

- პროგრამა: მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 04). მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოდნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. 2022 წლისათვის დაგეგმილი და შესყიდული მშენებლობის პროექტების სისტემატურ კონტროლს. ფარული სამუშაოების ზუსტად აღრიცხვას და ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ზომების შემოწმებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება; მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

- პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 05). მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია; ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი

პრიორიტეტი

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00).

- პროგრამა: მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 00). პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზინფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავშიდი. გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მანაწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი
03 01 02	ნაგავშიდის შემენა (ერთი ერთეული)

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება; გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

პრიორიტეტი:

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 00). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი 490 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)ი.პ. ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 255 თანამშრომელი, მათ შორის 30 კაცი და 225 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სადამზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება. განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზედ მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარებზე წლის განმავლობაში ერთხელ გაიცემა სტიპენდია, რომლებსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვთ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, ამასთან მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსანის/მედალოსნის კანდიდატის სტატუსი. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება იმ სტუდენტთა წახალისება, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის

საჯარო სკოლაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებენ სახელმწიფო (50 %, 70%, 100 %) გრანტს და ჩაირიცხებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

შენიშვნა: ქვეპროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცემა შემდეგნაირად - სტუდენტი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებს 100 % გრანტს, სტიპენდიის სახით ერთჯერადად ჩაერიცხება 1250 ლარი, 70% -ის შემთხვევაში 875 ლარი, ხოლო 50% - 625 ლარი.

მოსწავლეს, რომელსაც მიენიჭება ოქროს მედალოსანის სტატუსი, წლის განმავლობაში ერთხელ სტიპენდიის სახით ჩაერიცხება 625 ლარი, ხოლო ვერცხლის მედალოსანს 500 ლარი.

დაფინანსება: პროგრამის ფარგლებში თანხა გაიცემა წლის განმავლობაში ერთხელ.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
04 00	განათლება
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა დახმარება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. მოსწავლეებისა და სტუდენტების წახალისება, განათლების ხელშეწყობა, სწავლით დაინტერესება, მოტივაციის ამაღლება; მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა, შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო, წახალისებულია წარმატებული სტუდენტები და მოსწავლეები.

პრიორიტეტი:

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00).

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა

- პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01). ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვანელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთვანელების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი

ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. რეგიონალური სპორტული შეჯიბრება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა
05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა; ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

- **პროგრამა: სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03).** მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. 1.სარაგბო კლუბ „ფირალები“-ს საქართველოს რეგიონალურ ჩემპიონატში პირველ სამეულში მოხვედრა. აგრეთვე, რაგბის პოპულარიზაციის მიზნით მეტი ახალგაზრდის მოზიდვა რაგბის ასაკობრივ გუნდში, რაც ადგილობრივი პროფესიონალი სპორტსმენების აღზრდისა და ძირითადი გუნდის ქედის სპორტსმენებით დაკომპლექტების წინაპირობაა. კლუბის ბაზაზეა 2 ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა
05 01 03 02	შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები
05 01 03 03	ააიპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა და კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა; უზრუნველყოფილია რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

- პროგრამა: სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04). ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია
05 01 04 01	მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დანდალო, ზესოფელი, კოლოტაური, სოფ.ცხმორისი)
05 01 04 02	სოფელ ცხემნაში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა
05 01 04 03	დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განახლებული მინი სპორტული მოედნები.

- პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02). ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა. კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.
- კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/(ტრენინგები, ვორქშოფები, სემინარები, მასტერკლასები)
- კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია, ქედის მუნიციპალიტეტის ტრადიციული სამხარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.)
- საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება, დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
05 02 01	ა.(ა).ი.პ ქედის კულტურის ცენტრი
05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა
05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი
05 02 04	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა
05 02 05	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
05 02 06	კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია; შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტივები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა. გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.

- **პროგრამა: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05).** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 02 05	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

